


თემურ შაშიაშვილი:

ამ საშინელმა რეჟიმმა და იმ ათას ორასმა კაცმა, ვინც კორუფციულ კონვერტებს იღებს, საქართველო საბოლოოდ დააბნელეს!

„თეთრი მოძრაობის“ ლიდერი და „მეცნიერთა კონგრესის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, იმერეთის ლეგენდარული გუბერნატორი თეიმურაზ შაშიაშვილი, რომელიც ქვეყნის სათავეში მყოფი, სულ მცირე, ნახევარ წელიწადში ფეხზე დააყენებდა ქვეყანას, აცხადებს, რომ სათამაშო ბიზნესი, ქოლცენტრები და ნარკობიზნესი ერთი ჯაჭვია და ყველა დიდ ბიზნესმენსა თუ ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენელს საკუთარი ქოლცენტრი აქვს:



— მიკვირს იმ ადამიანების, რომლებიც ბრმად ენდობიან ხელისუფლებას, რომელმაც საჯაროდ გამოაქვეყნა ინტელიგენციის იმ წარმომადგენელთა სია, ვისაც სტიპენდიას უხდიდნენ და ამით ხალხის თვალში ავტორიტეტი გაუნულეს. სამაგიეროდ, მკაცრად ასაიდუმლოებენ იმ 1200 პირის ვინაობას, ვისაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსის ნათესავის სახლში აღმოჩენილი ფულით გაძეძგილი კონვერტები უნდა მისვლოდა. აქედან გამომდინარე, საკითხავია — როგორ შეიძლება მხარი დაუჭირო ხელისუფლებას, რომელიც ინტელიგენციას დისკრედიტაციის მიზნით ფულს აძლევს, ხოლო ქვეყნის დამანგრეველთა ვინაობას მალავს?!

— ბატონო თემურ, მოდით, გავაანალიზოთ, რა არის დღეს ეგრეთ წოდებული პროგრესი და როგორ აფასებთ ამჟამინდელ მდგომარეობას წარსულთან შედარებით?

— თავის დროზე, **პრეზიდენტ გამსახურდიას** მიერ „მერსედესის“ შეძენას პროტესტი მოჰყვა, დღეს კი რიგით გამგებელს იმაზე გაცილებით ძვირადღირებული მანქანა ემსახურება. კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი: ჩემი გუბერნატორობის პერიოდში, ერთ-ერთმა გუბერნატორმა **ბონდო ჯიქიამ** პრეზიდენტს შესთავაზა — პენსიები რომ გავცეთ, ერთი ჰესი გავყიდოთო!

— ბონდო ჯიქიამ ეს ედუარდ შევარდნაძეს უთხრა?

— დიახ! **შევარდნაძემ** კი უპასუხა: ჰესი რომ გავყიდოთ, ხალხი ქუჩაში გამოვა და წაგვლეკავსო! დღეს მთელი ენერგოსისტემა უცხოელებზეა გაყიდული და ტარიფი გამუდმებით იზრდება. არადა, თავის დროზე ენერგეტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ სისტემა ჩვენს ხელში რომ დარჩენილიყო, დენი მაქსიმუმ ოთხი-ექვსი თეთრი ეღირებოდა. თავად განსაჯეთ, ეს პროგრესია თუ რეგრესი? კიდევ ერთი სკანდალური ფაქტი: გუბერნატორობისას პრეზიდენტს ორჯერ ვუჩივლე სასამართლოში და ორივეჯერ მოვიგე! ერთხელ შევარდნაძისა და სააკაშვილის ოჯახების გაერთიანებულ ბიზნესს ვუჩივლე და მილიონ-ნახევრამდე დოლარი მოვუგე. დღეს წარმოგიდგენიათ, რომელიმე მერმა ან მინისტრმა გაბედოს და ვინმეს უჩივლოს თუნდაც იმაზე, რომ კრიპტოვალუტის საწარმოები დენს მიზერულ ფასად, ფაქტობრივად, უფასოდ იღებენ?!

— ხელისუფლება მუდმივად გვიმტკიცებს, რომ ევროპაში კრიზისია, ჩვენთან კი — სიმშვიდე და სტაბილურობა...

— ევროპელებმა სოციალური პროტესტით მიაღწიეს იმას, რომ საათობრივი ანაზღაურება რვა-თორმეტი ევრო აქვთ. ჩვენთან კი დასაქმებულთა ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტს საათში ერთ ევროსაც არ უხდიან. სოციალური პროტესტი პროგრესის ნიშანია, ამ ეგრეთ წოდებულ სიმშვიდეში კი ქვეყანა იღუპება. როცა ხალხს ასეთ სიბნელეში ამყოფებენ, ინტელიგენციის დუმილი დანაშაულია. დამოუკიდებლობის აღდგენისას, ყველაზე მაღალი ხელფასი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტსა და უნივერსიტეტის რექტორს ჰქონდათ. დღეს კი აკადემიკოსს ოთხი-ხუთი ათასი ლარი უხარია, მაშინ, როცა პარლამენტარის შემოსავალი, ყველა დანამატით, ამ ნიშნულს ექვს-შვიდჯერ აღემატება. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში სენატორები ხელფასს საერთოდ არ იღებდნენ — ეს ღირსების საქმედ ითვლებოდა.

ჩვენ ისეთი პარლამენტი გვყავს, რომელიც ნებისმიერ ქვეყანას დააქცევს!

— გადავიდეთ ძალიან მწვავე თემაზე: ურბნელი მიტროპოლიტი იობი, რომელიც ოდესღაც წინა ხელისუფლებას ებრძოდა, დღეს წარმოუდგენელი თავდასხმის ობიექტია. მას შემდეგ, რაც მან ხელისუფლებას ურწმუნო უწოდა და თქვა, რომ ქვეყანა დაანგრიეს, ათასობით ტროლ-ბოტი მიუქსიეს. მეტიც, გენპროკურორის ყოფილმა მოადგილემ მიტროპოლიტს საჯაროდ დედა შეაგინა. სოციალურ ქსელში პოსტების გამო ხალხს იჭერენ, ეს კაცი კი ხელშეუხებელია. ვინ მფარველობს მას? თუმცა, ეს კამპანია მეორე დღესვე შეწყვიტეს — ეტყობა, მიხვდნენ, რომ ასე თავს იღუპავდნენ...

— მსგავსი უკადრებელი გამონათქვამებით, გენპროკურორის ყოფილმა მოადგილემ **ლაშა ნაცვლიშვილმა** ზემოთ ვიღაცას ასიამოვნა და გაახარა! **შექმნილია სისტემა, სადაც ხელისუფალს ტაში და მონური მორჩილება უყვარს. ამ ფონზე ინტელიგენციის დუმილი ქვეყნის ღალატის ტოლფასია; დუმან იმიტომ, რომ ფულს იღებენ!** რაც შეეხება მეუფე იობს, ის წლების განმავლობაში იდგა მმართველი ძალის გვერდით, თუმცა, დადგა დრო და თქვა მწარე სიმართლე, რასაც ყველა მოაზროვნე ადამიანი ხედავს. თანაც, ეს მხოლოდ ქუჩაში კი არ უთქვამს, არამედ პირდაპირ ამბიონიდან იქადაგა — ტაძრიდან, რომელიც დავით აღმაშენებლისა და ისტორიული რუის-ურბნისის კრების სახელთანაა დაკავშირებული!

— როგორ ფიქრობთ, შეჩერდება ხელისუფლების მიზანმიმართული კამპანია სასულიერო პირების წინააღმდეგ?


— გონიერ ხელისუფლებას ჯანსაღი კრიტიკა აფხიზლებს, სუსტს კი შურისძიებისკენ უბიძგებს. ახლა ტროლების კამპანია თითქოს გააჩერეს, მაგრამ შიგნით შურისძიების წყურვილი რჩებათ და ესენი, ალბათ, სავარაუდოდ, სხვა მღვდელმთავრებზეც გადავლენ! არადა,

დღეს ეროვნული გამოფხიზლების პროცესი დაიწყო, რომელსაც ვეღარაფერი შეაჩერებს!

ყველაზე სწორი ნაბიჯი იქნება, **მეუფე იობს** პირდაპირ პარლამენტის ტრიბუნა დაუთმონ და მოუსმინონ მასაც და მეცნიერებსაც, რადგან ქვეყანაში იმაზე გაცილებით უარესი ვითარებაა, ვიდრე წარმოგვიდგენია!

— თქვენ ახსენეთ, რომ უღირსი განცხადებებით ვიღაცას ასიამოვნეს. მე რომ დამიჭირეს, ამით ვის გაუხარეს გული?

— მმართველ ძალას! წლების წინ თქვენ გამოაქვეყნეთ ისეთი სკანდალური მასალა, მაშინვე ვიგრძენი, რომ ამას არ გაპატიებდნენ.



გოგა ხაინდრავა
კინორეჟისორი

ნუ ჰგონიათ მაგათ, რომ ქართველი ხალხი ვერ ხედავს... თუ მაინცდამაინც ანაფორები რომ გაცვიათ და, ასე ვთქვათ ზიზილ-პიპილოები გაქვთ გარშემო, ამას ვერ სწვდება ჩვეულებრივი მრევლის წევრი.

მეუფე იობმა პოლიტიკური განცხადება გააკეთა, მაგას აჰყვა **ილარიონი** და იმაზე აღარ ვლაპარაკობ... ჩემთვის სურათი ნათელია: **სამმა სხვადასხვა მღვდელმთავარმა ერთსა და იმავე დღეს, ზუსტად ერთი და იგივე პოლიტიკური განცხადება გააკეთა.**

მე საკმაო გამოცდილება მაქვს იმისთვის, რომ ვიცოდე, საიდან მოდის ეს და რატომ მოდის.... ყველაფერი სცადეს — არასამთავრობოებმა ვერ ქნეს, იმ პოლიტიკოსებმა ვერ ქნეს, იმათაც ვერ ქნეს და ახლა მიადგნენ ეკლესიას, მაგრამ ყველაზე მთავარია, რომ ამ განცხადებებმა ნული გავლენა მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე, ნული!

„ჯორჯიან თაიმსი“



ლევან ხაბეიშვილი
ნაციონალური მოძრაობის წევრი, პატიმარი

ვეთანხმები **მეუფე იობს,** ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ხმა ღვთისა და ხმა ერისა — **გამოფხიზლდით, კლავიატურა და პულტები დაწვით, ფეხზე ადექით!** „ინტერპრესნიუსი“



ლევან ბეშაშვილი
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი

მეუფე იობი არ არის ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი, ჩვენს პარტიას ყოველთვის აკრიტიკებს, მაგრამ ერი ხედავს, ბერი ხედავს, ჩვენი ეკლესია ხედავს, საით მიექანება ქვეყანა. „ინტერპრესნიუსი“



აკაკი ბობოხიძე
ორგანიზაციის „ქართველთა საჭარბოებლო ასოციაციის“ თავმჯდომარე

„ქართული ოცნება“ ხალხის ზეწოლით უნდა ვაიძულოთ, დაანიშნოს არჩევნები საერთო შეთანხმების საფუძველზე — ჩვენ მეტი აქტიურობა გვჭირდება და ქართველმა ხალხმაც უნდა გააცნობიეროს, რა ხიფათები გველოდება.

„პალიტრანიუსი“

ნენ. გულწრფელად გეტყვით: **მაშინ ბევრს ეზარება, რომ ეს ინფორმაცია ჩემზან გაჭონდათ. გამოვიზავნეს კიდეც ხალხი და პირდაპირ მკითხეს — რატომ გვებრძვიო?** არადა, იციან, რომ ვინმეს ზურგს უკან ჩუმად საუბარი ჩემი სტილი არ არის, რასაც ვფიქრობ, ყოველთვის ღიად და ხმამაღლა ვამბობ. **როდესაც თქვენ ის მასალა გამოაქვეყნეთ, ჩემთან მაშინვე გავიზავნეს პრესსამსახურის წარმოგადგენელი. მე მას ვუთხარი — რასაც ახლა გეტყვით, ყველაფერი ჩაწერეთ-მეთქი!** პირდაპირ, გულღიად და ხისტად ვუთხარი ყველაფერი იმ მასალაში, რომელიც გავატანე. შეთანხმების თანახმად, მას ერთი კასეტა უნდა ეჩვენებინა ბიძინა ივანიშვილისთვის, ხოლო მეორე დაებრუნებინა ჩემთვის. ასეც მოხდა, მაგრამ სულ რაღაც ორ დღეში ეს კასეტა ჩემი სამუშაო ოთახიდან გაქრა! მე მაშინ დასამალი არაფერი მქონდა... ალბათ, უახლოეს მომავალში მომიწევს ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე ლაპარაკი.

— ამის შემდეგ თუ გქონდათ მცდელობა, რომ ხელისუფლებისთვის ქვეყანაში არსებული რეალური სურათი დაგენახვებინათ?

— ჯერ კიდევ 2012 წლის ოქტომბერში, მეცნიერთა კონგრესის ფარგლებში, ჩვენ გავაკეთეთ წინა პერიოდის ანალიზი, სადაც პირდაპირ ვწერდით, რომ ეს იყო საქართველოს მოსახლეობის გენოციდი. ეს ფუნდამენტური ნაშრომი ჩემი ხელმოწერილი წერილით ახალ მმართველ ძალას გადავეცით. მეორე ეგზემპლარი კი საქართველოს გენერალურ პროკურატურას გავუგზავნეთ. პროკურატურიდან ოფიციალური პასუხიც მივიღეთ, სადაც გვწერდნენ, რომ სასწაული მასალები გამოგიგზავნიათ, უახლოეს პერიოდში დავიწყებთ მოკვლევას და ავტორ მეცნიერებთან შეხვედრასაც გავმართავთო. მას შემდეგ თოთხმეტი წელი გავიდა! თოთხმეტი წელია, ჩვენთან არავინ მოსულა! აი, ეს არის დღევანდელი ხელისუფლება!

— რა მდგომარეობაა რეალურად ეკონომიკური კუთხით, თუნდაც სათამაშო ბიზნესის მიმართულებით?

— სათამაშო ბიზნესის ბრუნვა მიმდინარე წელს ას მილიარდს გადააჭარბებს! პარლამენტმა სათამაშო ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით ისეთი კანონი მიიღო, რომელიც პირდაპირ ქურდებისა და ჯიბგირების კარნახითაა დაწერილი. ეს არის ქვეყნის დასამარების გადაწყვეტილება. დღეს ეგრეთ წოდებულ ქოლცენტრებში ნაშოვნ ფულს პირდაპირ ცოდვის ფული ჰქვია! ადამიანებს რას უკეთებენ, იცით? ამერიკაში ეს უკვე მომაკვდავი ბიზნესია, ჩვენთან კი ყვავის. ცოტა ხნის წინ უცხოეთში მცხოვრებ ერთ ახალგაზრდას ვესაუბრე. მიამბო: საქართველოში ქოლცენტრში ვმუშაობდი და თვეში 10 ათასი დოლარი მქონდა შემოსავალი, ახლა ევროპაში ვარ და გაცილებით ნაკლებზე ვმუშაობ, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ეს მოპარული და ჯიბგირული ფული არ არისო.

— გამოდის, რომ ამ პროცესებში ძალიან ბევრი ახალგაზრდაა ჩართული და უზარმაზარი, მაგრამ უკანონო ფული ტრიალებს...

— ყველა დიდ ბიზნესმენსა და ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენელს საკუთარი ქოლცენტრი აქვს. იქ უნიჭიერესი ახალგაზრდები მუშაობენ და ოჯახები პირდაპირ ცოდვაში შეჰყავთ. დღეს ორმოცდაათი ათასამდე ადამიანი მუშაობს ამ ეგრეთ წოდებულ ქოლცენტრებში. რესტორნები და ქუჩები სავსეა ძვირადღირებული მანქანებით, მაგრამ ეს მხოლოდ უცხოეთიდან გადმორიცხული ფული კი არ არის, ეს სწორედ ამ ქოლცენტრებში ნაშოვნი, ცოდვიანი ფულია. ამის დათვლაც კი შეუძლებელია და ეს მასშტაბი ქვეყანას დაღუპავს. უფრო მეტიც, ეს ყველაფერი მჭიდროდაა გადაჯაჭვული ნარკობიზნესთან. უამრავი ადამიანი, რომელმაც იქ დიდი ფული იშოვა, ნარკომანი გახდა. სათამაშო ბიზნესი, ქოლცენტრები და ნარკობიზნესი ერთი ჯაჭვია. საქართველო პირველ ადგილზეა იმით, რომ ას სამოცდაათამდე ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, მეორე დღესვე უპრობლემოდ ჩამოვიდეს ჩვენს ქვეყანაში. გარდა ამისა, რას ეძახიან დღეს ქვეყანაში ბიზნესს? ავტომობილების იმპორტ-ექსპორტს! წარმოიდგინეთ, რეალური ეკონომიკა ქვეყანაში არ არსებობს! არსებობს მხოლოდ სათამაშო ბიზნესი, ქოლცენტრები, ნარკობიზნესი, ადამიანებით ვაჭრობა და ავტომობილების იმპორტ-ექსპორტი. მეცნიერებთან ერთად გავაკეთეთ ანალიზი და ცალსახად დავასკვენით: ეს ხუთივე მიმართულება ერთდროულად რომ გაჩერდეს, ქვეყანა იმ წუთასვე ჩამოიშლება.

— გამოდის, რომ ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად ამ მანკიერებებზე დგას და სხვა საყრდენი აღარ არსებობს?

— სათამაშო ბიზნესი ყველაზე ღიად ჩანს, თორემ ეგრეთ წოდებული ქოლცენტრები იმდენად დაფარული და ბნელი საქმეა, რომ მას პირდაპირ უშიშროების სამსახური მფარველობს და აკონტროლებს.

ისე კი, აჯობებდა, მეუფე იობს ხმა ცოტა უფრო ადრე ამოეღო. ახლა კი მთავარი ისაა, როგორ უბრუნდებათ ენა მის წინააღმდეგ! გუშინ გამოუქვეყნეს მასალები, თითქოს მეუფე დიდ მიწებს ფლობს. არადა, ეს საეკლესიო საკუთრებაა მაშინ, როცა პარლამენტარებს მასზე ორ-სამჯერ მეტი აქვთ დარეგისტრირებული! კორუმპირებული ადამიანები ახლა მეუფეს ათას ცილისწამებას მოუძებნიან. არადა, აჯობებდა, გაჩუმებულიყვნენ, ეკლესიისა და მეცნიერებისთვის მოესმინათ და ხალხის გასაერთიანებლად დიდი შეხვედრა დაეწყოთ.

— როგორ ფიქრობთ, მეუფე იობს ამ სიტყვებს არ აპატიებენ?

— თუ ხალხი მტკიცედ არ დაუდგა გვერდით, რა თქმა უნდა, არ აპატიებენ. ამ ქვეყანაში ხომ ყველაფერი უშიშროების ხელშია. ახლახან ერთმა პიროვნებამ ისეთი რამ მიამბო, მოსვენება დავკარგე: **უშიშროების მუშაკის მანქანაში უნახავს სია, სადაც მხოლოდ ერთი პირის მიერ ორას სამოცდასამი სტუდენტი იყო გადაბირებული და ჩანერგილი!** თურმე ბავშვებს მცირე თანხით „აბამენ“ ან დაჭერილი მშობლებითა და სხვა პრობლემებით აშანტაჟებენ. წარმოგიდგენიათ, რას უშვრებიან ჩვენს ახალგაზრდობას?! სწორედ ამიტომ, დღეს ინტელიგენციას და მეცნიერებს უდიდესი როლის შესრულება ძალუძთ, ოღონდ არა დუმილით! დიახ, ჭკვიან ხელისუფლებას შეუძლია, ეს კრიზისი ეროვნული ერთობისა და წარმატების საფუძვლად აქციოს. **ილია ჭავჭავაძე** ამბობდა: მომავლის გზა მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებაა, ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლადო. დღეს ხელისუფლებას აქვს შანსი, ილიას ამ სიბრძნეს დაეყრდნოს.

— წავა თუ არა ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებზე?

— ვადამდელი არჩევნები დღეს თავად ხელისუფლებასაც არ აწყობს. თანაც, მმართველ ძალას ძალიან მცირე შანსიღა დარჩა, უბედურებაში გადაჩეხილი ქვეყანა ეროვნული განვითარებისკენ შემოაბრუნოს. ამისათვის საყოველთაო დათათბირებაა საჭირო. საუბედუროდ კი, საპირისპირო გზით მიდიან. ამ საშინელმა რეჟიმმა და იმ 1200 კაცმა, ვინც კორუფციულ კონვერტებს იღებს, საქართველო საბოლოოდ დააბნელეს, ამიტომაც მათი სახელები დაჩქარებული წესით უნდა გაცხადდეს!

ესაუბრა
დიტო ჩუბინიძე



„ყველაზე სწორი ნაბიჯი იქნება, მეუფე იობს პირდაპირ პარლამენტის ტრიბუნა დაუთმონ და მოუსმინონ მასაც და მეცნიერებსაც, რადგან ქვეყანაში იმაზე გაცილებით უარესი ვითარებაა, ვიდრე წარმოგვიდგენია!“



„პარლამენტმა სათამაშო ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით ისეთი კანონი მიიღო, რომელიც პირდაპირ ქურდებისა და ჯიბგირების კარნახითაა დაწერილი!“

კვირგვინოსნები



ანდრია ჯაღმაიძე
სპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი

ჩვენთვის მოულოდნელი იყო აზარტულ თამაშებზე ასე სწრაფად მიღებული კანონი. ჩვენ შეკითხვების დასმაც კი ვერ მოვასწარით, ისე სწრაფად განვითარდა მოვლენები და სამი მოსმენით მიიღეს ეს კანონი.

„რეზონანსი“